საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია
დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

სოციალისტ-ფედერალისტი

№ 12 1921 წ. შაბათი მარტის 12 № 12
ფასი 50 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოპერატიული ცნობა

მარტის 8.

ჩვენმა ნაწილებმა მარტის 8-ს 17 საათზე, დაიკავეს ქალ. ახალციხე. გარნიზონის ნაწილები, რიცხვით 212 ჯარისკაცი, ოთხი ზარბაზნით და ერთი ოფიცრით ტყვეთ ჩავიგდეთ. დატყვევებულთ აეყარეთ იარაღი. ქუთაისის მიმართულებით წითლებმა ბრძოლით აიღეს სად. მარელისი. დამატებითი ცნობების მიხედვით მიხაილოვის სადგურზე ჩვენ მიერ დაკავებულია 74 ცისტერნი, 2 სამგზავრო ვაგონი, 7 საბარგო ვაგონი, 5 დახურული ვაგონი, და ბევრი მაზუთი და ქვანახშირი.

შავი ზღვის ნაპირებზე

მარტის 10.

ს. ტალიტთან ჩვენი ცხენოსანი ნაწილები შეეტაკენ მტრებს, რომელიც გადევნილი იქნა 2 საათის ბრძოლის შემდეგ და რომელმაც დატოვა 160 ტყვე, 133 თოფი და 1 ტყვიისმფრქვეველი. ამავე დღის 17 საათზე ბრძოლით დაჭერილია ს. ცხირი. მტერი მდ. ინგურს გაშორდა. დამატებითი ცნობებით სუხუმ-კალეში ჩვენ ხელთ ვიგდეთ ორი შორს მსროლელი სანაპირო ზარბაზანი.

ქუთაისისკენ.

ჩვენი ნაწილები ქუთაისისკენ მიიწევენ. 9 მარტს, 23 საათზე ბრძოლით ავიღეთ სად. ბელოგორი.

ტფილისი, შაბათი მარტის 12

საქართველოს კომუნისტური მთავრობის წინ სდგას გადასაჭრელად მრავალი სახელმწიფოებრივი ხასიათის საკითხი, რომელთა ასე თუ ისე გადაწყვეტაზე დამოკიდებული საბჭოთა საქართველოს მომავალი ბედი. ერთი ასეთი მთავარი საკითხთაგანია საქართველოს პოლიტიკური ფორმა. ქართველი ხალხისათვის რევოლუციის მონაპოვრიდან არაფერი არ ყოფილა ისე მტკიცე და ძვირფასი როგორც 26 მაისის აქტი— საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. ქართველი ლაშქარი რომ ასე გაცოფებით ებრძვის დღესაც მოწინააღმდეგეს—ებრძვის არა იმიტომ, რომ მას მენშევიკური მთავრობის დაცვა სწადია, არამედ იმიტომ, რომ ლაშქრისა და ხალხის წარმოდგენითაც საბჭოთა მთავრობის აქ დამკვიდრებით ქართველი ერის სუვერენობას ჰკარგავს.

სომხეთიცა და აზერბეიჯანიც „დამოუკიდებელ" სახელმწიფოებად ითვლებიან; ნამდვილად კი ესენი რუსეთის პროვინციებია; იქაური მთავრობანი მოსკოვის ადგილობრივი განყოფილებებია. ეს საკვირველიც არ არის: აზერბეიჯანს სახელმწიფოებრივი ტრადიცია არა აქვს, სომხეთი მრავალი საუკუნოების წინ დაეცა. უკანასკნელმა წლებმა კი დაგვიმტკიცა, რომ მათ საკუთარ ფეხებზე დგომა არ შეუძლია და ხან ერთ ძიძას მიმართავდნენ, ხან მეორეს. ჩვენ კი მრავალ საუკუნოების განმავლობაში დამოუკიდებლად ვცხოვრობდით და უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩვენს სუვერენობას სისხლით ვიცავდით. საქართველოს მთავრობამ ამ გარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოს. ჩვენ არ გვინდა სომხეთ-აზერბეიჯანის მზგავსი „დამოუკიდებლობა". საქართველოს საბჭოთა მთავრობამ უნდა ზეიმით ამცნოს ხალხს, რომ ის სდგას 26 მაისის აქტის ნიადაგზე და სავსებით იცავს ქართველი ერის სუვერენობას. ქართველი ხალხი ვეღარ შეურიგდება თავის სხვა ქვეყნის ნაწილად გადაქცევას. ახალმა მთავრობამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება მხოლოდ ქაღალდზე არ უნდა დასტოვოს და საქმეთ აქციოს. ასე უნდა მოიქცეს ის თუ სურს, რომ ქართველი მშრომელი მასის განუყოფელ ნაწილად ითვლებოდეს და არა მის [illegible].

საახალშენო საქმე საქართველოში

პირველ ჩვენ წერილში: „კოლონიზაცია საქართველოში" გამოტოვებულია მთელი ერთი ნახევარი წინადადება, რის გამო აზრი სრულიად დამახინჯებულია. ჩვენ ვწერდით: „გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ თუ მოყვანილი სიტყვები მართლა ითქვა, უეჭველია, სიტყვა „კოლონიზაცია" ხმარებულია იმ მნიშვნელობით, როგორითაც ის მიღებული იმპერიალისტურ სახელმწიფოებში. მაგრამ არის მეორე გვარიც კოლონიზაციისა.

კულტურული და არა ნაციონალური თვალსაზრისით წარმოებული. ასეთ კოლონიზაციას სოციალისტური საქართველო უეჭველათ უფრო ფართოთ აწარმოებს, ვიდრე ეს იყო წარმოებული დემოკრატიულ საქართველოში". და სხვა.

ეს-ვე აზრი ჩვენ მიერ გამოთქმულია შემდეგ ოფიციალურ მოხსენებაში

საქართველოს რევკომის რწმუნებულს მიწათმოქმედების კომისარიატში

საახალშენო განყოფილებას მოსდის ცნობები რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეებიდან ქართველ მოსახლეობის შევიწროების შესახებ. თვითნებობისა და შევიწროების ინიციატორებით გამოდიან უმთავრესად რუსები და სომხები, რომლებთაც საქართველოში წითელი არმიის შემოსვლა ისე გაუგიათ, თითქოს დგება ხანა ქართველი ერის ხარჯზე მათი ეკონომიური ბატონობისა, როგორსაც ისინი მიეჩვივნენ გოლიცინ ხატისოვების პოლიტიკის წყალობით. მენშევიკური მთავრობა დიდი მოწყალებით ეპყრობოდა გადმოსახლებულ რუსებს და ვინც-კი თავის ნებით არ წავიდა საქართველოდან ან დაბრუნდა უკანვე დამფუძნებელ კრების მიერ დადგენილ დრომდე ყველას საშუალება მიეცა შედარებით ბევრად უკეთ მოწყობისა, ვიდრე ამის საშუალება ქონდათ თვით ქართველ მიწის მუშათ.

იმ დროს, როდესაც ქართველ მემამულეთაგან მიწების ჩამორთმევის დროს აგრარული კანონმდებლობა იმ გვარ განმარტებებით ხორციელდებოდა, რომ მათთვის დაეტოვებინათ ნორმაში მინიმუმი და ამ მიზნით დასავლეთ საქართველოში ხრიოკ და ქვიან, მოუსავლიან ადგილებსაც კი პირველ კატეგორიით ანგარიშობდენ. რუსებით დასახლებულ რაიონებში ყოველი ზომა იყო მიღებული რომ მათთვის მაქსიმუმი ჩაეთვალათ ნორმაში და ამ მიზნით ყველად მოსავლიან ადგილებსაც-კი მე-2 და 3 კატეგორიით ანგარიშობდენ. ამის გამო, თუ საქართველოში კიდევ დარჩა მემამულეთა კლასი, ასეთათ უპირველესად უნდა ჩაითვალონ რუსი და სხვა კოლონისტები, რომელთა ნორმები 10 დან 30 დესეტინამდე აღწევს და, მხოლოდ შემდეგ ყოფილი ქართველი მემამულენი, 7-15 დესიატინიან ნორმებით.

მიუხედავად ამისა, [illegible] გაბატონებული რუსობა და სხვები, სრულს კმაყოფილებას ვერ გრძნობდენ, რადგან უმიწაწყლო ქართველობის მცირედათ მაინც მიწით დაკმაყოფილება მათ არა მეტად ადვილათ საექსპლოატაციო მასალას ქართველი სოფლის მუშის სახით [illegible] თათრებით დასახლებულ რაიონებში, სადაც მცხოვრებლები შეჩვეულნი არიან დაქირავებულ მუშებით ექსტენსიური მეურნეობის წარმოებას მიღებულ ცნობებით, ხსენებული ელემენტები ახლა ფიქრობენ თავის ძველ პრივილეგიურ მდგომარეობის ძალით აღდგენას და ავიწროვებენ მეზობლად დასახლებულ ყოფილ უმიწაწყლო ქართველობას.

საახალშენო განყოფილება დარწმუნებულია, თუ დღემდე საქართველოში მოქმედი სადგილმამულო კანონმდებლობა შეიცვალა მშრომელი კლასის ინტერესების მიხედვით, ამით უპირველესად ყოვლისა მოიგებს ქართველი მიწის მუშებთან, დღესაც ყველაზე უფრო უმიწაწყლოა.

ყოველ შემთხვევაში, საახალშენო განყოფილებას დაბეჯითებით შეუძლია დაგარწმუნოთ, რომ, როგორადაც არ უნდა შეიცვალოს ჩვენი მომავალი სადგილ-მამულო კანონმდებლობა, სხვა და სხვა რაიონებში ჩასახლებულ ქართველების უკანვე გადმოსახლება, ყოველის მიზეზის გარეშე, არც ღვთისა და არც კაცის სამართლით არ მოგვიხდება.

ამისთვის, საახალშენო განყოფილება გთხოვთ, იშუამდგომლოთ საქართველოს რევკომის წინაშე, გამოცემულ იქნას საგანგებო და და საერთო ბრძანება გადმოსახლებულთა შევიწროების დაუყონებლივ შეწყვეტის შესახებ".

ვ. ახხაიანი

ადგილობრივი პრესა

საქართველოს რევკომის და კომუნისტური პარტიის რუსული ორგანო „პრავდა გრუზიი" (მარტის 10, № 8) მეთაურს უძღვნის საქართველოს საგარეო პოლიტიკას და სწერს სხვათა შორის, რომ ძირითადი პრინციპი საბჭოთა რესპუბლიკების საგარეო პოლიტიკისა არის სრული უარყოფა ყოველივე დაპყრობითი მიდრეკილებათა და თავის იდეის ვისმეს თავზე ძალით მოხვევის სურვილისა.

„საბჭოთა საქართველოს მთავრობა, სდგას რა ამ პრინციპზე, აცხადებს, რომ არც თვითონ ერევა სხვა სახელმწიფოების შინაურ ცხოვრებაში და თავის მხრით თვითონაც არ დაუშვებს სხვის ჩარევას საბჭოთა სოც. საქართველოს შინაურ ცხოვრებაში, რომელიც შენდება მშრომელ მასათა ინტერესების თანახმად.

ეროვნული პოლიტიკა საბჭოთა საქართ. მთავრობისა შენდება ყოველი ერის მშრომელთა თვითგამორკვევის პრინციპზე.

„ეკონომიური იზოლიაცია მეზობელ ქვეყნებისაგან არც შეადგენს მშრომელთა ინტერესებს. ამიტომ საბჭოთა რესპუბლიკების მთავრობანი არ უარყოფენ დიპლომატიურ და ეკონომიურ ურთიერთობას ევროპის, ამერიკის და აზიის კაპიტალისტურ ქვეყნების მთავრობებთან."

„დამოკიდებულება საბჭოთა რესპუბლიკებთან ნათელია დამოუკიდებელი საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა სთვლის თავისთავს ძმურ, განუყოფელ კავშირში ყველა არსებულ საბჭოთა რესპუბლიკებთან.

ევროპის, ამერიკის და აზიის სხვა სახელმწიფოების მიმართ კი საქართ. საბჭოთა რესპუბლიკა სთვლის თავის თავს მშვიდობიან, კეთილმეზობლურ განწყობილებაში."

რაც შეეხება იმ ეკონომიურ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს, განაგრძობს მთავრობის ორგანო, რაც მენშევიკური მთავრობისაგან დარჩა, საბჭოთა საქართველოს მთავრობა სცნობს მათ, მაგრამ უფლებას იტოვებს მოითხოვოს მათი გადასინჯვა მთლიანად თუ ნაწილობრივ.

იმ მიზნით, რომ ეკონომიური ურთიერთობა უმტკივნეულოთ და დაჩქარებით მოეწყოს და აგრეთვე არ დაგვიანდეს განხორციელება არსებულთაგან იმ ხელშეკრულებათა, რომელიც მისაღებია საბჭოთა საქართველოსათვის, საბჭოთა მთავრობა წინადადებას აძლევს უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს, რომელიც კი მოისურვებს, დაიწყოს მასთან საქმიანი მოლაპარაკება.

ნორმალ ურთიერთობის გასამტკიცებლად, დასაახლოვებლად და შესაკავშირებლად პოლიტიკურ უფლებრივ და ეკონომიურ ნიადაგზე სოციალისტურ საბჭოთა საქართველოს მთავრობა წინადადებას აძლევს ყველა მთავრობებს დაარსონ ურთიერთ შორის დიპლომატიური წარმომადგენლობა."

გრუკავროსტას ბიულეტენი

№ 3

მარტის 10 ს 1921 წლის.

სპარსეთის და საბჭოთა მთავრობის ხელშეკრულება.

(სპარსეთის გენერალურ საკონსულო ცნობა).

26 თებერვალს სპარსეთისა და საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებს ხელი მოუწერიათ [illegible], რომელიც შესდგება 26 პუნქტისაგან და გამოქვეყნებული იქნება დამატებით. მუდმივ კავშირის და მიმართვის დასამყარებლათ საბჭოთა მთავრობა გზავნის თეირანში. განსაკუთრებულ მისიას, რომელსაც ბაქოში მოელიან ამ დღეებში.

სპარსეთის კონსულის წასვლა.

სპარსეთის გენერალური კონსული მოხზერფ-დოვლე თავის მთავრობის გაწვევის თანახმად გაემგზავრება ტფილისიდან თეირანს. მის მოადგილედ ინიშნება ახმედ ხან-ამი დაერი.

სპარსეთის მთავრობის თავმჯდომარის დეკლარაცია.

(სპარსეთის გენერალურ საკონსულოს ცნობა).

თანახმად თეირანიდან მიღებულ ცნობისა, გენერალური საკონსულო იუწყება: სპარსეთის ახალ მთავრობის თავმჯდომარე სეიდ ზია-ედდინ ტაბა-ტაბაით, [illegible] და თავის დეკლარაციაში საშინაო პოლიტიკას განაცხადა:

უპირველესად ყოვლისა საჭიროა შეიქმნას ლაშქარი, გვეანაწილოთ სახელმწიფო და საბაზინო მიწები გლეხებთა შორის და ამასთანავე აუცილებელია უნდა გამოიცეს კანონი, რომელიც მიანიჭებს უპირატესობას გლეხებს საერთოდ კერძო ესპლოატატორებთან შედარებით. ამავე დროს აუცილებელია ძირითად ფინანსიურ რეფორმის გატარება, რომელიც დაიცავს ბაჟების ეკონომიას და მოახმარს შემოსავალს ხალხის საჭიროებას და კეთილდღეობას. მოსახლეობათა შორის განათლების გავრცელების მიზნით, გაიხსნას მთელი რიგი სახალხო სკოლების და შემოღებულ იქმნას სავალდებულო სწავლა; სასწავლო მიზნით გაგზავნა ხელოსნობის და ვაჭრობის მოსწავლეების; გზების გაუმჯობესება; შემოღება სპარსეთის ყველა ქალაქებში სამოქალაქო დებულების და თვითმართველობის რეფორმისა.

საგარეო პოლიტიკის შესახებ ახალმა მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა შემდეგი პროგრამა: 1) დამოკიდებულება სპარსეთის სხვა სახელმწიფოებისადმი უნდა ემყარებოდეს მთავრობის თავისუფლად და დამოუკიდებელ პოლიტიკას. 2) კაპიტულიაციის გაუქმება სპარსეთში 3) გადასინჯვა წარსულში უცხოელთადმი ყველა მიცემულ კონცესიისა. 4) დაცვა მეგობრულ განწყობილების და ეკონომიურ კავშირისა უცხო სახელმწიფოებთან 5). გატარება საჭირო რეფორმებისა და პირობათა მიხედვით უცხოელ მრჩეველთა მოწვევა ნეიტრალურ, ან არა დაინტერესებულ სახელმწიფოს ქვეშევრდომთაგან. 6) მიეცეს სახელმწიფოში შემოსვლის შესაძლებლობა უცხო კაპიტალს. 7) ყველა ჩამოთვლილთა მიხედვით და მათ განხორციელების მიზნით გაუქმდეს ინგლის-სპარსეთის ხელშეკრულება, დადებული 23 აგვისტოს 1919 წ. 8) ევაკუაცია სპარსეთიდან უცხოელთა ჯარებისა. დასასრულ თავის დეკლარაციისა სპარსეთის მთავრობის ახალმა თავმჯდომარემ გამოსთქვა რწმენა, რომ სპარსეთისა და მოსკოვის საბჭოთა მთავრობის ხელშეკრულებათა ხელის მოწერით დაედება მტკიცე დასაწყისი მეგობრულ და გარკვეულ ურთიერთობას ორ ქვეყანათა შორის.

აზერბეიჯანის მისიაში.

აზერბეიჯანის მისიამ აღძრა შუამდგომლობა საქართველოს რევკომის წინაშე გამოცემულ იქმნას დეკრეტი, რომლის ძალითაც აზერბეიჯანის საბჭოთა ბონებს ექნება „თავისუფალი გასავალი" საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა რუსეთის ფულის ნიშნების და საქართველოს ბონების თანახმად.

ისპანიის ვიცე-საკონსულოში.

გრუკავროსტას თანამშრომელთან საუბრის დროს ისპანიის ვიცე კონსულმა განაცხადა: „ისპანიას აქვს თბილისში დიდი სავაჭრო ფირმა" „[illegible] ისპანო ორიენტალე". ისპანიის ვიცე-კონსულის მფარველობის ქვეშ იმყოფება ოსმალეთის ყველა ქვეშევრდომი დღიდგან მათი კონსულის თბილისიდან წასვლისა. შემდეგ ვიცე-კონსულმა აღნიშნა, რომ გადატრიალებამდე მას ქონდა მიღებული ცნობა ბათომში გემის მოსვლის შესახებ, რომელიც დატვირთულია სხვა და სხვა საქონლით, მათ რიცხვში 50.000 წყვილი ფეხსაცმელით. ისპანიის საკონსულო აწარმოებდა გაცხოველებულ მოლაპარაკებას ბაქოს საგარეო ვაჭრობასთან საქონლის მოწოდების თაობაზე.

სამხედრო რევოლუციონური ტრიბუნალი.

ყოფილი სასამართლოს დაწესებულებათა შენობაში (სასამართლოს ქ. № 32) მოთავსდა სამხედრო რევოლუციონური ტრიბუნალები XI-ს არმიისა და მისს ცალკე სამხედრო ნაწილებისა. ამ დღეებში დაიწყება საქმეთა განხილვა.

ღვინის მიღების წესი.

ს. ს. რ. საქართველოს რევკომის თავმჯდომარის განკარგულების თანახმად სახელმწიფო (ყოფილი საუფლისწულო) ღვინის სარდაფიდან ღვინო არავის მიეცემა ს. ს. რ. საქართველოს რევკომის თავმჯდომარისაგან წერილობითი განკარგულების მიუღებლად.

წყალსადენი.

ს. ს. რ. საქართველოს რევკომმა [illegible] განკარგულება მიეცეს ყოველდღე თითო ვაგონი მაზუთი ქალაქის წყალსადენის ავჭალის სადგურის საჭიროებისათვის. ეს მისცემს შესძლებას სადგურს მიაწოდოს საკმაო წყალი ქალაქს.

კომისია გადაჭრილ ფასის დაწესებისათვის.

დაარსდა უწყებათა შორის კომისია გადაჭრილ ფასების დასაწესებლად კომისიის თავმჯდომარეთ დაინიშნა გ. ს. მესხი. ამ დღიდან კომისია აწესებს გადაჭრილ ფასებს სახალხო მეურნეობის საბჭოს ნაწარმოებზე. შემდეგში კომისიის მოქმედება გავრცელდება ყოველ გვარ ნაწარმოებზე.

ბრძანება მილიციაში.

თბილისის ქალაქის მილიციისადმი ბრძანებით მილიციის უფროსის მიღე-

ციის მმართველობაში მყოფი უფროსი ინსპექტორი ვ. ნ. ალშიბაია დანიშნულია მილიციის უფროსის თანაშემწედ.

სურსათის მომარაგება.

სასურსათო საერო კომისარმა გაგზავნა კახეთში 8 თანამშრომელი სურსათის საყიდლად და მოსამარაგებლად. სიღნაღისა და თელავის მაზრებში გაგზავნილია ამხ. დანცუროვი, რომელმაც კვლავ უნდა აღადგინოს ყოფილი ის ორგანიზაციები მომარაგების ყოფილ სამინისტროს ორგანიზაციებისა სურსათის ყიდვისა და მომარაგებისათვის.

კომპეტენციის განზრახვა.

სახალხო სამეურნეო საბჭოს სასურსათო სახალხო კომისართან ერთად განზრახვა აქვთ შეადგინონ საგანგებო კომისია, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს საკითხი ორთავე დაწესებულებისა იმის გამო, რომ ამ დაწესებულებათა მოქმედების სფერო ერთი მეორეშია გადახლართული.

სახლის კომიტეტი

მუშათა მაგიდა აცხადებს მოქალაქეთა საცნობად, რომ იგი არავითარ მონაწილეობას არ იღებს სახლების კომიტეტების ორგანიზაციაში. ვისაც რაიმე ცნობის მიღება სურს, უნდა მიმართოს ქალაქის სასურსათო კომიტეტთან არსებულ ცენტრალურ ბარათების ბიუროს.

პურის არ მიმღება დაწესებულებათა საყურადღებოდ.

მუშათა მაგიდამ მისწერა იმ დაწესებულებათ, რომელიც მარტის 1-ლამდე არ იღებდა პურს მუშათა მაგიდიდან, ხოლო აღნიშნულ რიცხვის შემდეგ უფ[illegible] აქვ პურის მიღების, წარადგი[illegible] ნავთის [illegible] ბარათებ[illegible], რომ[illegible] ხელში [illegible] წარდგენილი სიებ[illegible] [illegible] ვინც ბარათებს არ [illegible]ადგენ, მუშათა მაგიდიდან პურს [illegible] მიიღებს.

[illegible] მოსამსახურეთათვის.

[illegible] სათო კომისარიატმა [illegible] სარძე-სავასტრო [illegible] ლორი შემდეგ ფასები: [illegible] 500, გამოკვამლული 600 მ., [illegible] მლული მოხარშული 650 მან.

ლერწამის შაქარი.

ქალაქის სასურსათო კომისარიატმა მისწერა ქალაქის სასურსათო დუქნებს დროებით შეაჩერონ ლერწმის შაქრის გაყიდვა.

ქალაქის რევკომის ბრძანება.

ქალაქის რევკომს ცნობები აქვს, რომ კერძო აფთიაქების პატრონები სპეკულიაციის მიზნით უარს ეუბნებიან რეცეპტით წამლის მიცემაზე მსურველთ, ხოლო იმავე დროს დიდძალ მედიკამენტებს ბითუმად ჰყიდიან კერძო პირებზე და მწარმოებლებზე.

ამ ბრძანებით წინადადებას ვაძლევთ კერძო აფთიაქების პატრონებს და მოიჯარადრეთ პირადი პასუხის მგებლობის ქვეშ შესწყვიტონ ბოროტი სპეკულიაცია მედიკამენტებით და ჩვეულებრივი წესით მისცენ ხოლმე წამლები. აღნიშნულ ბრძანების დამრღვეველნი მიეცემიან სამხედრო ტრიბუნალის სამართალში. ჯანმრთელობის განყოფილებამ მუდმივად თვალყური უნდა ადევნოს ამ ბრძანების ასრულებას. ქალაქ ტფილისის რევკომი.

დანიშვნი:

ქალაქის რევკომის ბრძანებით დაინიშნენ 1) ამხ. ნარჩიმაშვილი სახალხო ჯანმრთელობის კოლეგიის წევრად: 2) ამხ კალანდარაშვილი საბინაო განყოფილების კოლეგიის წევრად: 3) ამხ. კერიბაინი ქალაქის სასურსათო კომიტეტის კოლეგიის წევრად.

საექიმო სანიტარული აპარატი. ქალაქის რევკომის მარტის 8 სხდომაზე საექიმო სანიტარული ნაწილის განსაკუთრებულმა რწმუნებულმა ამხ. კალიაშვილმა განაცხადა, რომ საექიმო სანიტარული განყოფილების საორგანიზაციო მუშაობა დამთავრებულია ყველა სამკურნალო და სანიტარულ დაწესებულებებმა დაიწყეს წესიერად მუშაობა. საექიმო ქონება ყოფილ სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებების აღრიცხულია და მათი გაცემა ეხლა ხდება წითელი ლაშქრის ნაწილებისა და სამოქალაქო სამკურნალო დაწესებულების მოთხოვნით. ამ ჟამად შედგენით საექიმო სანიტარულ ამმართველობას საბჭოთა წესების მიხედვით. საექიმო სანიტარულ საქმის სათავეში იქნება მცირე კოლეგია, შემდგარი სახალხო ჯანმრთელობის კომისარისა, მისი მოადგილისა და სამხ. სამართვ. გამგისა მოეწყობა განყოფილებები: 1) სანიტარულ-ეპიდემიური, 2) სანიტარული განათლებისა, 3) სამკურნალო, 4) ფარმაცევტული, 5) სანიტარული ტექნიკური, 6) მომარაგებისა და 7) დედათა და ბავშვთა მზრუნველობის, 8) ტრამავტიული და 9) საკურორტო.

რკინის გზებზე.

კახეთის რკინის გზის ნაციონალიზაცია.

საქართველოს რევკომის დადგენილებით დამტკიცებულ იქმნა დეკრეტი კახეთის რკინის გზის ნაციონალიზაციისა.

საქართველოს რკ. გზის უფროსი.

საქართველოს რევკომის რწმუნებულმა რკ. გზებზე ამხ. ხუშკოვმა მარტის 9 რკ. გზების ხაზზე დეპეშით აცნობა: „საქართველოს ყველა რკინის გზების და მათ შორის კახეთისა უფროსად დანიშნულია ინჟინერი ა. გ. კაციტაძე, რომელიც ამ რიცხვიდან შეუდგება თავის მოვალეობის შესრულებას".

კახეთის რკინის გზის დათვალიერება.

9 მარტს გაემგზავრა კომისია კახეთის რკინის გზის ხაზის დასათვალიერებლად წნორისწყლამდე.

გადასახადი გაჩერებულ ტვირთზე.

საქართველოს რევკომის რწმუნებულმა რკინის გზებზე ამხ. ხუშკოვმა დეპეშით განკარგულება გასცა: 25 თებერვლიდან 8 მარტამდე გაჩერებულ ტვირთზე გადაახდევინონ ფასი.

ტელეგრაფის აღდგენა.

ტელეგრაფის ხაზი სვდგურ სკრიდან სადგ. ხაშურამდე შეკეთებულია და ტფილისიდან აღნიშნულ სადგურებამდე ტელეგრაფის მუშაობა აღდგენილია.

ბანკები.

[illegible] ბანკების კომისრის ამხანაგებათ დანიშნულნი არიან: სახელმწიფო ბანკის ა. მ. ტროიცკი, კერძო ბანკებში — ყოფილ ვოლგა-კამის ბანკის თბილისის განყოფილების გამგე ს. გ. მაზმანოვი.

ქ. შ. წ. კ. გამავრც. საზოგადოება.

განათლების სახალხო კომისარიატმა ნება დართო საზოგადოებას განაგრძოს ბეჭდვა პედაგოგიური შინაარსის იმ წიგნებისა, რომელნიც უკვე იბეჭდება.

სომხეთის ს. ს. რესპუბლიკის წარმომადგენლობა საქართველოში.

სომხეთის ს. ს. რესპუბლიკის სრულუფლებიან წარმომადგენლობის საკონსულო განყოფილება ზუბალაშვილების სახლიდან გადავიდა სრულ-უფლებიან წარმომადგენლობის სახლში (ყოფილი მელიქ-აზარიანცისა) ოლღას ქ. 1, ბინა 15. კერძო პირთა მიღება საკონსულო განყოფილებაში სწარმოებს დღის 11—2 საათამდე.

სამთო საქმე.

სახალხო მეურნეობის საბჭოს სამთო განყოფილების გამგე ამხ. ყიფშიძემ მისწერა სამთო მრეწველობის თვით ყოფილ წარმოების გამგეებს წარმოადგინონ ცნობანი მუშების და წარმოებების მოსამსახურეთა რიცხვისა. წარმოების ნაყოფიერებისა არსებულ მადნის რაოდენობის სასწრაფო და აუცილებელი საჭირო მასალებისა და ადგილობრივ და ცენტრ. მუშაობის გაგრძელებისათვის საჭირო თანხის რაოდენობის შესახებ.

საექიმო პერსონალის ბინები.

ქალაქის რევკომმა გასცა განკარგულება ცენტრალურ საბინაო ტროიკას მის შესახებ, რომ ექიმების ბინები მათი თანაშემწეები (ფერშლების) კბილის ექიმების და საზოგადოდ ყველა სამედიცინო-სანიტარულ ნაწილის მომუშავების ბინები, თავისუფალია რეკვიზიციისაგან, ჩასახლებიდან და სხვა.

გრუზროსტას ქრონიკა
№ 14.

მარტის 11.

ქართველ ხელოვანთა სასახლე.

საქართველ ხელოვანთა სასახლემ დაიწყო თავისი მოღვაწეობა. სასახლეში მუშაობენ ქართველი ყველა ხელოვანნი. ჯერ საერთო გეგმა და პროგრამა არ არის დამთავრებული. ახლო მომავალში ქართველ სასახლე ნამდვილ ხელოვნების სასახლეთ გარდაიქცევა.

ქართულმა რევკომმა ხელოვანთა სასახლის საჭიროებისათვის სხვა და სხვა სამხატვრო მასალა გამოუგზავნა. ეს მასალა გადაეცა ქართველ მხატვრებს, რომელსაც მოახმარებენ მხატვრულ სურათებს და პლაკატებს.

მწერალთა კავშირი ახლო მომავალში შეუდგება გამომცემლობის საქმეს. გამოიცემა ჟურნალ გაზეთები, წიგნები და სხვა პერიოდული სამხედრო კრებულები.

— ყველა ქართველ ხელოვანს ქართულ რევკომმა მისცა ბინის უზრუნველყოფის ბარათები. აგრეთვე მოწესრიგებულია პურის მიცემა იმ ხელოვანთათვის, ვინც არ მსახურობს და პურს არსაიდან იღებს.

— ყველა ხელოვნების დარგის მომუშავეთ ცალკ-ცალკე განყოფილება ექნებათ. დრო გამოშვებით ხელოვნების საკითხის გარშემო შესდგება საერთო ხელოვანთა თათბირი.

— დღეს მარტის 12 ხელოვანთა სასახლის ბინაზე საღამოს 5 საათზე შესდგება ქართველ მწერალთა საერთო კრება. კრებაზე განხილული იქნება მიმდინარე საკითხები. საჭიროა ამ კრებას დაესწრნენ ტფილისში მყოფი ყველა ქართველი მწერლები.

საბჭოთა რუსეთში

მარტის 10.

შვეიცარიის პროლეტარიატი და საბ. რუსეთი.

მოსკოვი. მარტის 10. „როტანე" იუწყება, რომ ბაზელის მუშათა კავშირმა მიიღო რეზოლიუცია, სადაც ნათქვამია, რომ შვეიცარიის პროლეტარიატი თხოულობს ის საკავშირო საბჭოსაგან, რომ დაუყოვნებლივ აღადგინოს საბჭოთა რუსეთთან პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებულებანი. რაც ერთად ერთი გზაა სამეურნეო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

კომუნისტურ პარტიის მე-10 ყრილობა.

მოსკოვი. მარტის 10. მარტის 8 მოსკოვში ამხ. ლენინმა კომუნისტურ პარტიის მე-10 ყრილობა გახსნა. მისალმების სიტყვების შემდეგ გერმანიის კომუნისტურ პარტიის სახელით ილაპარაკა გაიერმა, პოლონეთის გადეცკიმ, ინგლისის კველშმა. საქართველოს მიხა ცხაკაიამ. ამხ. ლენინმა საბჭოთა რუსეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ და პარტიის მიზნების შესახებ მოხსენება გააკეთა. ამხ. ლენინის შემდეგ ილაპარაკა კრესტინსკიმ ცენტრალურ კომიტეტის მოთავრობის შესახებ და სოლცმა საკონტროლო კომისიის შესახებ ხვალიდან დისკუსია დაიწყება. კონგრესში მონაწილეობას ღებულობს 800 დელეგატი ჩადამწყვეტი ხმით და 300 სათათბირო ხმით.

მოკავშირეთა კაპიტალის დიდებისათვის.

მოსკოვი. მარტის 10 სამშაბათს დილით მოკავშირეებმა დაიწყეს ძალდატანებითი ზომების მიღება გერმანიის წინააღმდეგ. მოკავშირეთა რაზმები დიუსელდორისაკენ გამოემართნენ საბარგო ავტომობილებით, გემებით და რკინის გზით. ბელგიის ჯარი ქალაქში შემოვიდა მცხოვრებისადმი მოწოდებაში მოკავშირეები წინადადებას იძლევიან დაემორჩილონ სამხედრო ხელის უფლების წარმომადგენელთ.

კომპარტიის მეათე ყრილობა

მოსკოვი. მარტის 9. (რადიო) დასაწყისი არაა მიღებული პარტიის ყოველივე მოღვაწეობას უსასტიკესად სდევნის პოლონეთის მთავრობის კონტრ-რევოლიუცია. მიუხედავათ მძიმე პირობებისა პოლონეთში ჩვენ შევძელით ძლიერ პარტიის სოციალ-პატრიოტების შესახებ, რომელთაც დახმარებას უწევდა მთავრობა და რომლის შემადგენლობაშიაც ისინიც შედიოდნენ. ჩვენთან გადმოიხარნენ მრავალი პროფესიონალური კავშირები.

ლენინის სიტყვა კომპარტიის მეათე ყრილობაზე.

მოსკოვი. მარტის 10 (რადიო), რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის საერთო მდგომარეობა. ჯერ ისევ 1917 წელში ფიქრობდნენ, რომ სამოქალაქო ომის დასრულებულ იყო. 1920 წელს მარტში საბჭოთა რუსეთს ეგონა. ომ ზავის დრო მოახლოვებული იყო, აპრილში კი პოლონეთის გამოსვლა დაიწყო. ეს გამოცდილება ნებას არ გვაძლევს, რომ გადაჭარბებულ ოპტიმიზმს მივცეთ, თუმცა დღეს რუსეთის ტერიტორიაზე არ მოიპოვება არც ერთი მტრულად განწყობილი ჯარისკაცი.

სურსათი, სათბობი მასალა და სოფლის მეურნეობა.

ჩვენი შინაური ცხოვრების გართულება დაკავშირებულია დემობილიზაციასთან სასურსათო და სათბობ მასალას საკითხთან. ჩვენ შეცდომები წარსულ წელში უფრო მეტი იყო. სათბობი მასალას სიმცირე აიხსნება მით, რომ ჩვენ მრეწველობა მეტად ფართოდ დავიწყეთ. (ჩვენ გადავაფასეთ..) დამახინჯებულია). გადასვლა სამხედრო მეურნეობიდან სამშვიდობოზე. სასოფლო მეურნეობა კრიზისს რომ ახალი სახელმწიფო აპარატი მუშაობის მეთოდს იმუშავებს თანდათანობით და ზოგჯერ შეცდომებსაც ეშვებს.

მუშათა კლასი და გლეხობა.

მიმდინარე მომენტის უდიდესი პოლიტიკური საკითხია მუშათა კლასის დამოკიდებულება რუსეთის ხალხის უმრავლესობის-გლეხობასთან ამასთან საერთაშორისო მდგომარეობა ძალიანი ნელი ნაბიჯებით ვითარდება და არ შეიძლება ჩვენი პოლიტიკა ჩაითვალოს მის გამარჯვების წინამორბედათ.

კონცესიები, ამიტომაც საბჭოთა მთავრობამ მორიგ საკითხათ დააყენა შეთანხმება ბურჟუაზიულ მთავრობასთან მათვის კონცესიების მიცემა.

გლეხობისათვის.

გლეხები ფიქრობენ. რომ მეფის გენერლები მას არ ემუქრებიან და ის ერთობ მცირე საქონელს ღებულობს, ამიტომაც ისინი ფიქრობენ, რომ ის მსხვერპლი, რომელსაც მათ მთავრობა სთხოვს, მეტად დიდია. ჩვენ დადებითად უნდა გავუწიოთ ანგარიში გლეხთა მისწრაფებას. ჩვენ შემოგვაქვს ნატურალური სასურსათო გადასახადი, რომელიც გაწერილ იქნება გლეხთა შემდეგის კვალობაზე და რომელიც ფართო ასპარეზს მისცემს მის კერძო საკუთრების ინტერესების დაცვას. ეს გადასახადი მთავრობებს მთავრობის ხელში მხოლოდ გლეხთა მოსავლის ნაწილს. ამას გარდა რაც გადარჩება მას, ის შეუძლია გაყიდოს ადგილობრივ ბაზარზე. როგორც კონცესიებმა ჩვენ უნდა მოგვცეს ჩვენი მრეწველობის განვითარებისათვის საჭირო საღსარი, ისე გლეხთა მისწრაფების დაკმაყოფილება შეანელებს სასოფლო სამეურნეო კრიზისს და გააუმჯობესებს მუშათა კლასსა და გლეხების შორის დამოკიდებულებას. ნატურალური სასურსათო გადასახადი საბჭოთა პოლიტიკის ერთი მნიშვნელოვან საკითხათაგანია (გამოტოვებულია მოითხოვს პარტიის უკიდურეს სიმკაცრეს, დაბრკოლებათა შეგნებას,, რომელიც პროლეტარიატს დიქტატურას წინ უდგია.

უცხოეთში

სალამი რუს მუშა ქალებს გერმანელ მუშა ქალებისაგან.

მოსკოვი მარტის 8. (რადიო). გერმანელი მუშა ქალებს ქალთა საერთაშორისო დღის გამო. მისალმება თავდება მოწოდებით ყველა ქვეყნის პროლეტარ ქალების კომუნისტურ ინტერნაციონალის დროში ქვეშ შეერთების შესახებ.

ავადმყოფთა და ბავშვთათვის სურსათის მოწოდება

მოსკოვი. მარტის 9. (რადიო). სოვნარკომის დადგენილების თანახმად, ნარკომპროდმა განკარგულება გასცა ყველა გუბკომპროდებზე, რათა ნორმის მიხედვით დააკმაყოფილონ ყველა სავადმყოფოების ავადმყოფები და თავშესაფრის ბავშვები რიგ გარეშე სურსათის მიცემით.

ელექტროფიკაცია.

მოსკოვი. მარტის 9. (რადიო) შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან შესდგა სახელმწიფო საზოგადო-სამეგმო კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს მთლიანი საზოგადო სახელმწიფო გეგმა საბჭოს მერვე ყრილობის მიერ მოწონებულ ელექტროფიკაციის გეგმის მიხედვით. კომისიამ თვალყური უნდა ადევნოს აგრეთვე ამ გეგმის განხორციელებას. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ინჟ. კრჟიჟანოვსკი.

გერმანია და ანტანტა.

ლონდონი. მარტის 9. (რადიო) გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა სიმონსმა გადასწყვიტა 5 წლის განმავლობაში ყოველ წლიურად შეიტანოს განსაზღვრული თანხა იმ პირობით, თუ გერმანია შეინარჩუნებს ზემო-სილეზიას. ანტანტის წარმომადგენლებმა ერთხმად უარყვეს გერმანიის წინადადება. ლოიდ ჯორჯმა კატეგორიულად განუცხადა გერმანიის დელეგატებს, რომ გერმანიის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებათა შესრულების ვადის გადადება შეუძლებელია. სიმონსი იძულებული იყო მხოლოდ პროტესტი განეცხადებინა ამ დადგენილების წინააღმდეგ. ინგლისის ჯარები შეუდგნენ რეინის 3 პორტის ოკუპაციას. რომლებშიც [illegible] ბენ ბელგიის საოკუპაციო [illegible] პირდაპირ. ანტანტას განზრახული აქვს ისარგებლოს აგრეთვე ეკონომიურ რეპრესიებით. [illegible] ზომები შეიძლება დამღუპველი იქნენ მთელ ევროპისათვის [illegible] ვებლად შეხვდა ლონდონის მოლაპარაკების ფაქტიურად შეწყვეტას.

ბოიკოტი ინგლისს.

ლონდონი. ინდოეთის ოლქების მთელრიგმა კატეგორიულად დაადგინა ბოიკოტი გამოუცხადოს ინგლისს. ინდოელები ფაქტიურად ატარებენ ინგლისის დაწესებულებათა სკოლების და საქონლის სრულ უარყოფის პოლიტიკას.

უმუშევრობა ამერიკაში.

ვაშინგტონი. ოფიციალური ცნობით უმუშევართა რიცხვი ამერიკაში აღწევს 2.750,000

გაფიცვა მორავიაში.

პრაგა მორავიაში მემაღაროეთა საერთო გაფიცვა გამოაცხადეს, ჯამაგირის მოკლების გამო.

ისპანიის მემაღაროების გამარჯვება.

მადრიდი. ასტურიის მემაღაროეთა გაფიცვა, რომელმაც გასტანა სამ თვეს, დამთავრდა გაფიცულთა ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილებით.

ამერიკელ მეზღვაურთა გაფიცვა.

ნიუ-იორკი. ნიუ-იორკში გამოცხადებულია მეზღვაურთა გაფიცვა. მათ მიემხრო შტურმანებისა და ლოცმანების კავშირი.

რუს ჯარისკაცთა ბედი.

სტამბოლი. იმ რუს ჯარისკაცთა და ოფიცერთა ბედი, რომლებიც ვრანგელმა გაიყვანა ყირიმიდან, მწარეა. 24 ათასი რუსი შეგროვილია გალიპოლის კონცენტრაციულ ბანაკში. ანტანტის ხელისუფალნი ძალიან ცუდად ეპყრობიან მათ: რუსის მეომრები ითმენენ სიმშილს, სიცივეს და მოკლებულია უკველგვარ საექიმო დახმარებას.

წერილი რედაქ. მიმართ

საზოგადოების საყურადღებოდ.

ვრცელდება პროვოკაციული ხმები საზოგადოებაში, თითქოს მე არ დამერთოს ნება სიტყვის წარმოთქმისა ქართველი ჯარის კაცების დასაფლავებაზე. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ არავითარ ამ გვარ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

მე მქონდა მინდობილი რევოლიუციონურ კომიტეტისაგან სიტყვის წარმოთქმა დახოცილ ქართველ ჯარის კაცების დასაფლავებაზედ მაგრამ როდესაც მივმართე გამგე კომისიას წითელი ჯვარის წარმომადგენლით, მათგან მივიღე პასუხი, რომ ჭირისუფალთა სურვილისამებრ სიტყვები წარმოთქმული არ იქნებაო.

სახელი და გვარი ამ წარმომადგენლების მე არ ვიცი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ არ იტყვიან უარს აღნიშნულ ფაქტზე. ჩემის მხრით ამ ფაქტის სინამდვილეს დამიმოწმობენ დ. ხართიშვილი, ლ. მეტრეველი, ლობჟანიძე და სხვები.

ტფ. რევკომის თავმჯდომარე ს. თოდრია.

—

ბ-ნო რედაქტორო! გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად გთხოვთ მოათავსოთ შემდეგი: თქვენს გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტის" № 11 მოთავსებულია ცნობა, თითქოს მე მივემგზავრებოდე იმ დელეგაციასთან ერთად, რომელსაც უკისრნია მოლაპარაკება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობასთან. ამით ვაცხადებ, რომ ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია; მე არავითარი დავალება არავისგან არ მიმიღია და არც პირადათ განმიცხადებია თანხმობა დელეგაციაში მონაწილეობის მიღებაზე.

კ. ანდრონიკაშვილი.

რედაქტორი თედო ღლონტი, ი.
გამომცემი დრ. მთავარი კომი [illegible]
სტამბა „სახალხო საქმე" ქალდუზნის ქუჩა № 14.